



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

გეოგრაფია

სადოქტორო პროგრამა

ქუთაისი

2011

1. სადოქტორო პროგრამის სახელწოდება - გეოგრაფია.

2. მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი - გეოგრაფიის დოქტორი,
PhD in Geography

3. სადოქტორო პროგრამის ხელმძღვანელი - ოთარ ჩხეიძე, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტის სრული პროფესორი, გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორი.

4. სადოქტორო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

ა. პროგრამის მიზანი გეოგრაფიის ფართო სპექტრის მქონე სპეციალისტის ჩამოყალიბება, რომელსაც ექნება ფუნდამენტალური სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება, რითაც თავისუფლად შეძლებს ბუნებაში მიმდინარე ახალი, რთული და დაპირისპირებული მოვლენებისა და შეხედულებების ანალიზს, სინთეზს და შეფასებას. სადოქტორო თემებიდან გამომდინარე შესაძლებელი იქნება ორიგინალური და პუბლიცირებული კვლევითი შედეგების მიღება-პროგნოზირება რეგიონალურ და გლობალურ დონეზე, რითაც მოახერხებს გარკვეული დადებითი წვლილის შეტანას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების საქმეში. აღნიშნული გარემოებები ქმნის პროგრამის არსებობის მყარ საფუძველს. პროგრამის მიზნები ფორმულირებულია თანმიმდევრულად და შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას.

გეოგრაფია კომპლექსური - საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სისტემაა, რომელშიც მოიაზრება გეოგრაფიული მეცნიერების ოთხი ჯგუფი: საბუნებისმეტყველო, საზოგადოებრივი, მხარეთმცოდნეობითი და კარტოგრაფიული.

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში, გეოგრაფიული მიმართულებით სადოქტორო დისერტაციები შეიძლება მომზადდეს: 1. გეომორფოლოგიაში, 2. სპელეოლოგიაში, 3. კარსტოლოგიაში, 4. მეტეოროლოგიაში, 5. კლიმატოლოგიაში, 6. გამოყენებით კლიმატოლოგიაში, 7. ჰიდროლოგიაში, 8. გლაციოლოგიაში, 8. ლანდშაფტმცოდნეობაში, 10. ფიზიკურ გეოგრაფიაში, 11. გეოეკოლოგიაში, 12. ეკონომიკურ და სოციალურ გეოგრაფიაში, 13. საზოგადოებრივ გეოგრაფიაში, 14. მოსახლეობის გეოგრაფიაში, 15. რეკრეაციულ გეოგრაფიაში, 16. ისტორიულ გეოგრაფიაში, 17. გეოგრაფიულ ტოპონიმიკაში, 18. კარტოგრაფია-ტოპოგრაფიაში, 19. სამედიცინო გეოგრაფიაში, 20. სამხედრო გეოგრაფიაში, 21. ბიოგეოგრაფიაში, 22. პალეოგეოგრაფიაში და სხვა. დასახელებული სპეცილობებიდან სადოქტორო თემების შერჩევა მოხდება სადღეისო მოთხოვნებიდან (საჭიროებიდან) გამომდინარე და შესაბამისად, სპეციალისტთა დასაქმების რელური (საბაზრო ეკონომიკის ფონზე) შესაძლებლობის მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია ზემოხსენებულ გეოგრაფიულ დისციპლინებში სავარაუდო სადოქტორო (პრობლემური) თემების ზოგიერთი ჩამონათვალი:

1. ქვემო იმერეთის რელიეფის ანთროპოგენური ტრანსფორმაცია;
2. მდ. რიონის ძველი და ახალი დელტის შედარებითი ანალიზი მეურნეობრივი გამოყენების მიზნით;
3. იმერეთის გეოდინამიური პროცესების კომპლექსური ანალიზი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემები;
4. იმერეთის ხრამების გეოგრაფია, მორფოლოგია, გენეზისი, კლასიფიკაცია და ბუნებათსარგებლობის პრობლემები;
5. ზემო იმერეთის კარსტული მღვიმეების ანალიზი სახალხო მეურნეობაში გამოყენების მიზნით;

6. წყალტუბოს კირქვული მასივის მღვიმეთა მეტეოროლოგიურ-კლიმატური ანალიზი სპელეოტურიზმისა და სპელეოთერაპიის განვითარების მიზნით;
7. დასავლეთ საქართველოში დაცული ტერიტორიების შერჩევის ანალიზი;
8. კოლხეთის ლანდშაფტების ანთროპოგენური ტრანსფორმაცია და ბუნებათსარგებლობის პრობლემები;
9. კოლხეთის ტურისტულ-რეკრეაციული რესურსული პოტენციალი;
10. დასავლეთ საქართველოს ბუნების გამოყენების, გარდაქმნისა და დაცვის თანამედროვე მდგომარეობა;
11. იმერეთის ფარგლებში მესხეთის ქედის ჩრდილო ფერდობის ლანდშაფტურ-ეკოლოგიური ანალიზი და ბუნებათსარგებლობის პრობლემები;
12. კოლხეთის ბიოგეოგრაფიული არის ფიზიკურ-გეოგრაფიული ანალიზი და რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემები;
13. იმერეთის ლანდშაფტების პალეოგეოგრაფიული ანალიზი და თანამედროვე ლანდშაფტების პროგნოზი;
14. იმერეთის მდინარეთა მაქსიმალური ჩამონადენის გენეტური ანალიზი და მისი გაანგარიშება;
15. ღრუბლიანობის ველის კლიმატური მახასიათებლების სივრცით-დროითი სტრუქტურა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე;
16. წყლის ზედაპირიდან აორთქლების შესწავლა დასავლეთ საქართველოში;
17. ჰაერის ტემპერატურის დღეღამური და წლიური ამპლიტუდის ტერიტორიული განაწილება კოლხეთში;
18. დასავლეთ საქართველოს საკურორტო მეურნეობის ანალიზი გარდამავალ პერიოდში;
19. დასავლეთ საქართველოს ეკონომიკური გეოგრაფიის არსებითი ხასიათის პრობლემები საბაზრო ეკონომიკის ჭრილში;
20. დასავლეთ საქართველოს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის პრობლემები საბაზრო ეკონომიკის ფონზე;
21. დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის პრობლემები;
22. საქალაქო აგლომერაციების ფორმირების პროცესი დასავლეთ საქართველოში;
23. საქართველოს ბუნება და სოფლის მეურნეობა გლობალური დათბობის ფონზე.

ა. ა. სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები: სწავლების შედეგები მიიღწევა – ვერბალური, წყაროებზე მუშაობის, წერითი, კარტოგრაფიული, დემონსტრირების, სავლე კვლევის, თანამშრომლობითი სწავლების, ანალიზისა და სინთეზის მეთოდების გამოყენებით. ქმედებაზე ორიენტირებული სწავლების, ელექტრონული სწავლების (დასწრებული/დისტანციური) მეთოდებით.

ბ. პროგრამის შედეგი: ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის შემდეგ სწავლების უმაღლესი განათლების მესამე, ყველაზე მაღალი საფეხურია დოქტორანტურა, რომლის დამთავრების (გავლის) შემდეგ გეოგრაფიის დოქტორს ექნება ფართო, ფუნდამენტალური სამეცნიერო, პედაგოგიური და პრაქტიკული მომზადება. ყოველივე ეს მათ საშუალებას მისცემს სრულყოფილად შეაფასონ ბუნებრივ გარემოში მიმდინარე მოვლენები და მოახდინონ მათი მოსალოდნელი ცვლილებათა ანალიზი და პროგნოზირება როგორც ადგილობრივ, ასევე რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე. მიღწეული შედეგებით, ცხადია, შესაძლებელი გახდება ქვეყნის ეკონომიკის აღმავლობის საქმეში გარკვეული დადებითი პოზიტივის შეტანა.

ბ.ა. ცოდნა და გაცნობიერება. რაც გულისხმობს გეოგრაფიულ მეცნიერებათა სისტემაში შემაჯავალ სამ ათეულზე მეტ სპეციალობაში, მეცნიერების უახლეს მიღწევებზე დამყარებულ სიღრმისეულ ცოდნას, არსებული კვლევის მეთოდების კარგად მომარჯვებას და მათ საფუძველზე დოქტორანტის მიერ კვლევის ახალი მეთოდების შემუშავების უნარს, რომელთა გამოყენებით შეძლებს ნებისმიერი გეოგრაფიული პრობლემის გადაჭრას და თვალსაჩინო სიახლეს შეიტანს მეცნიერებაში. ფართო მეცნიერული დიაპაზონით იქნება გაცნობიერებული იმაში, რომ არცერთი მეცნიერული თეორია არ უნდა იქცეს დოგმად, თუ გვინდა, რომ ამ თეორიამ სიცოცხლე შეინარჩუნოს იგი პერმანენტულ ევოლუციას უნდა განიცდიდეს და ასეთ ვითარებაში, ე. ი ახალი თეორიისა და კვლევის მეთოდების შემუშავება-გამოყენებით, შეიძლება უმტკივნეულოდ მოხდეს ზოგიერთი ძველი ფუნდამენტალური დებულების (თეორიის, მეთოდის) გადაფასება. ასე, რომ ადგილი ექნება ძველის შეცვლა-დაზუსტებას, რის გამოც თეორია კი არ ზარალდება, არამედ ივსება, იხვეწება, ღრმავდება და ვითარდება.

ბ.ბ. ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი: ფართო მეცნიერული თვალსაწიერის მქონე დოქტორანტი გამოირჩევა თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების დიდი უნარით. გეოგრაფიულ დისციპლინებში თეორიული და კვლევითი სავსე სამუშაოს კარგად გამოყენებით შესწევს უნარი სრულად და ახლებურად გამოიკვლიოს ნებისმიერი რეგიონის ბუნებრივ-ტერიტორიული კომპლექსები, მათი მეურნეობაში გამოყენების მიზნით. ამ მიმართებით, დამოუკიდებლად გეგმავს სავსე-კვლევით სამუშაოებს, ავლენს სიახლეებს და ამდიდრებს გეოგრაფიულ მეცნიერებას თეორიული და კონსტრუქციული (გამოყენებითი) დებულებებით, რითაც თავისი მოკრძალებული წვლილი შეაქვს გეოგრაფიული გარსის რეგიონული და გლობალური პრობლემების გადაჭრის საქმეში. მის მიერ აღმოჩენილ მეცნიერულ შედეგებს პერმანენტულად აქვეყნებს საერთაშორისო რეფერირებად გამოცემებში.

ბ.გ. დასკვნის უნარი: გეოგრაფ-დოქტორანტი თავისუფლად ახერხებს ახალი, რთული და დაპირისპირებული (წინააღმდეგობრივი) იდეებისა და შეხედულებების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას, რითაც ხელს უწყობს გეოგრაფიულ მეცნიერებათა ცალკეულ დისციპლინებში სრულიად ახალი მეთოდოლოგიის შემუშავებასა და განვითარებას. დოქტორანტი დარწმუნებულია თავის თავში, მისი ცოდნის მაღალ დონესა და სისწორეში და სხვებისაგან დამოუკიდებლად დებულობს ნებისმიერი მეცნიერული პრობლემის გადაჭრისათვის სწორ და ეფექტურ გადაწყვეტილებას.

ბ. დ. კომუნიკაციის უნარი: გეოგრაფიის დოქტორანტს შესწევს უნარი ახლადშემქნილი ცოდნის, არსებულ ცოდნასთან ურთიერთკავშირში მოახდინოს გარკვევით და დასაბუთებულად წარმოჩენა. მასვე თავისუფლად შეუძლია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში, სიმპოზიუმებში, დისკუსიებში, რომლებიც მიძღვნილი იქნება რეგიონალური და გლობალური ხასიათის გეოგრაფიული პრობლემების გადაწყვეტისათვის. გეოგრაფიულ მეცნიერებაში შემოტანილი ახალი მეთოდებითა და თეორიებით, უცხო ენების ცოდნით იგი პერმანენტულად იქნება ჩართული მსოფლიო მასშტაბის სამეცნიერო პოლემიკაში და ამ კუთხით, მეცნიერულ სიახლეებს გამოაქვეყნებს კიდევაც რეფერირებად გამოცემებში, რითაც თავის აღმოჩენებს მიანიჭებს საერთაშორისო (გლობალურ) რეზონანსს.

ბ.ე. სწავლის უნარი: გეოგრაფიის დოქტორანტს გააჩნია უახლეს მეცნიერულ მიღწევებზე დამყარებული სათანადო ცოდნა და გამოცდილება, შესწევს უნარი ახალი

იდებისა და პროცესების განვითარებისათვის. მას თავისუფლად შეუძლია ამ იდეებისა და პროცესების წარმატებით გამოყენება სწავლისა და სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში.

ბ. ვ. ღირებულებები: გეოგრაფ-დოქტორანტი აწარმოებს ღირებულებათა დამკვიდრების ახალ-ახალი გზების კვლევა-ძიების საქმეს, რომელთა დასამკვიდრებლად ახდენს ახალი მეთოდების შემუშავებას. ახლად შემუშავებულ მეთოდებს წარმატებით იყენებს ცხოვრებაში, რითაც აღწევს სასურველ შედეგებს საბაზრო ეკონომიკაში.

გ. კურსდამთავრებულთა დასაქმების სფეროები

გეოგრაფიის დოქტორის დიპლომის მქონე სპეციალისტებს შეეძლება იმუშაონ: 1. სკოლებსა და უმაღლეს სასწავლებლებში პედაგოგად, 2. კვლევით ინსტიტუტებში მეცნიერ-მუშაკებად, 3. ეკოლოგიურ სამსახურებში, 4. მეტეოროლოგიურ დაწესებულებებში, 5. ტურისტულ ორგანიზაციებში, 6. რეესტრის მიწის სამსახურში, 7. გეომორფოლოგიურ ექსპერტიზის სამსახურში, 8. კარტოგრაფიულ სამსახურში (კარტოგრაფიულ ფაბრიკებში, საპროექტოებში და სხვა), 9. ჰიდროლოგიურ დაწესებულებებში, 10. ზღვის ნაპირის დამცავ დაწესებულებებში, 11. გეოლოგიურ სამსახურებში, 12. საკურორტო ორგანიზაციებში, 13. ქალაქების წყალმომარაგების სამსახურებში, 14. ქალაქების განაშენიანების სამსახურში, 15. აეროკოსმოსურ გადაღებებსა და დეშიფრირებაში, 16. სეისმურ სადგურებში და ა.შ.

გეოგრაფიის დოქტორებს ასევე შეეძლება იმუშაონ უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო კვლევით დაწესებულებებში საშუალო და მაღალი დონის ხელმძღვანელ თანამდებობებზე, რომელთა დაკავება მათთვის განსაზღვრულია უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით და საუნივერსიტეტო განათლების რეფორმის კონცეფციით.

დოქტორანტურა დამთავრებულები მონაწილეობას მიიღებენ: 1. ტურისტული რესურსების გამოვლენა-გამოყენებაში, 2. სატრანსპორტო გზების დაპროექტება-გაყვანაში, 3. ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტების წარმოება – დაპროექტება გასაღებაში, 4. შავი ზღვის ნაპირდამცავი სამუშაოების შესწავლაში, 5. ჰიდროტექნიკური მშენებლობებით გამოწვეულ შეცვლილი მიკროკლიმატის შესწავლაში, 6. დევნილთა ჩასახლებებისა და დასახლებული ადგილების დაგეგმარებაში, 7. ბიოსამედიცინო სამსახურში გეოგრაფიული კომპონენტების კვლევაში, 8. პოტენციური საკურორტო რეზერვების გამოვლენაში, 9. მიწების კადასტრში, გარდა ნაყოფიერებისა, მათი გამოყენების შესაძლებლობათა განსაზღვრაში, 10. გეოინფორმაციულ სისტემაში (გისები), 11. სამამულო (ეროვნული) და უცხოური პროდუქტის კონკურენტუნარიანობის გეოგრაფიულ კვლევაში, 12. საქართველოს ბაზარზე მომხმარებელთა ქცევის თავისებურებების შესწავლაში, 13. გეოინფორმაციული სისტემებით ინტერნეტტექნოლოგიების გამოყენების თავისებურებათა შესწავლაში და სხვა.

5. სადოქტორო პროგრამაზე მიღების წინაპირობები: გეოგრაფიის სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველი უნდა აკმაყოფილებდეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების მოთხოვნებს (აწსუ აკადემიური საბჭოს 2008 წლის დადგენილება №3). უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების მესამე საფეხურზე დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ან მასთან გათანაბრებულ პირებს, რომელთაც ჩაბარებული აქვთ უცხო ენისა და სპეციალობის გამოცდა; ან ფლობს B2 დონის დამადასტურებელ სერტიფიკატს უცხო ენაში.

6. სასწავლო კომპონენტი

ჩვენს მიერ შედგენილ დოქტორანტურის პროგრამაში გათვალისწინებულია ჰარვარდის, პენსილვანიის, ჰიუსტონისა და ლანკასტერის უნივერსიტეტების შესაბამისი პროგრამები. ასევე გათვალისწინებულია თსუ გეოგრაფიის კათედრებზე ასპირანტებთან და სამეცნიერო ხარისხის მაძიებლებთან დაგროვილი გამოცდილება. თანამედროვე ეტაპზე წინამდებარე სადოქტორო, გეოგრაფიის სპეციალობაში, დოქტორის მომზადების ნორმატიული ვადაა სამი წელი. დოქტორის აკადემიური ხარისხის მისაღებად დოქტორანტი უნდა დააგროვოს 180 კრედიტი, აქედან სასწავლო კომპონენტი შეადგენს კრედიტების საერთო რაოდენობის 1/3 (60 კრედიტი), დანარჩენი 2/3 (120 კრედიტი) კვლევას ეთმობა. სასწავლო კომპონენტი გულისხმობს ძირითადი მეცნიერული უნარების განვითარებას. გეოგრაფიაში მიღებული ცოდნის გაღრმავებას, ტრანსფერირებული უნარების განვითარებას, სწავლების თანამედროვე მეთოდების შესწავლას და დოქტორანტის ჩართვას სასწავლო პროცესში.

გეოგრაფიაში სადოქტორო პროგრამა ითვალისწინებს ორი სხვადასხვა ტიპის პრაქტიკის ჩატარებას: 1. საველე-კვლევითი პრაქტიკა და 2. სასწავლო პრაქტიკა-მოიცავს სემინარულ და კოლოკვიმურ სამუშაოებს. ორთავე პრაქტიკაზე კეთდება სილაბუსები. სასემინარო თემები მოიცავს გეოგრაფიული ციკლის დისციპლინებში აქტუალური პოლემიკური თემების წაკითხვას დოქტორანტის მიერ და, მათზე დისკუსიის გამართვას. სადისკუსიო თემა არ ეხება დოქტორანტის საკვალიფიკაციო თემიდან გამომდინარე საკითხს. კოლოკვიუმზე გამოტანილი თემა კი, უშუალოდ გამომდინარეობს (ეხება) სადოქტორო თემის ირგვლივ წამოჭრილი პრობლემის განხილვას. კოლოკვიუმზე შეიძლება განხილულ იქნას დოქტორანტის მიერ საველე კვლევით შეკრებილი მასალების შეჯამება-ანალიზი. როგორც სემინარი, ასევე კოლოკვიუმი ტარდება გეოგრაფიის დეპარტამენტში. სასემინარო სხდომებს შეიძლება დაესწრონ ბიოლოგიის, ქიმიის, ფიზიკისა და სხვა დეპარტამენტის წევრებიც (წარმომადგენლები), რომლებიც მიიღებენ პოლემიკურ-პრობლემური თემების ირგვლივ დისკუსიაში აქტიურ მონაწილეობას. თემების აქტუალობიდან გამომდინარე სემინარები და კოლოკვიუმები წელიწადში თითოეულ დოქტორანტთან შეიძლება სამ-ოთხჯერ და მეტჯერაც ჩატარდეს (პრობლემათა აქტუალობის მიხედვით).

8. სამეცნიერო კვლევების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი განხორციელდება ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის გეოგრაფიის დეპარტამენტში, რომელსაც გააჩნია კომპიუტერი და ინტერნეტში მუშაობის შესაძლებლობა. კვლევები განხორციელდება ასევე თსუ-ის გეოგრაფიის ლაბორატორიებში და ბიბლიოთეკაში. პროგრამაში მონაწილე ყველა ლექტორს აქვს შესაბამისი უახლესი ლიტერატურა, ამიტომ დოქტორანტი უზრუნველყოფილი იქნება სწავლებისა და კვლევითი მუშაობისათვის აუცილებელი საჭირო ლიტერატურით. განსაზღვრულია გეოგრაფიის სხვადასხვა დარგში პრობლემათა სპექტრი და მათი გადაწყვეტის მიზნით სადოქტორო დისერტაციის თემატიკა. თემატიკა ძირითადად ითვალისწინებს ზემოაღნიშნულ პრობლემათა შუქზე დასავლეთ საქართველოში და კონკრეტულად იმერეთის რეგიონში მრავალი, აუცილებლად საჭირო პრობლემის გადაწყვეტას გეოგრაფიული, ეკოლოგიური და ტურისტულ-რეკრეაციული თვალსაზრისით. დოქტორანტებს, ხელმძღვანელობა ადგილზე გაეწევა, მაგრამ პრობლემური თემების დამუშავებისათვის ბაზა იქნება, როგორც იმერეთში, ისე მის

გარეთ (საქართველოში), სადაც ჩატარდება საველე სამუშაოები, ასევე კარტოგრაფიული, ლიტერატურული, საფონდო მასალების გაცნობა – დამუშავება (გეოგრაფიის ინსტიტუტი, თსუ-ის ბიბლიოთეკა, საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა, თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტი, გეოლოგიის ინსტიტუტი და სხვა.)

დოქტორანტის მომზადებაში უმნიშვნელოვანესია სადისერტაციო ნაშრომი. დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და საველე კვლევითი სამუშაოებით შეკრებილი მასალების ანალიზის საფუძველზე დასაბუთებულ შედეგებს. ახასიათებდეს მეცნიერული სიახლე და წვლილი შექონდეს გეოგრაფიულ მეცნიერებათა განვითარებაში. სადოქტორო ნაშრომის ზღვრული მოცულობა უნდა შეადგენდეს 180-200 გვერდს (არა უმეტეს 400 000 ასონიშანი). დისერტანტს, დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული უნდა ჰქონდეს მინიმუმ სამი სამეცნიერო პუბლიკაცია რეცენზირებად ჟურნალებში, რომელთაგან ორს გავლილი უნდა ჰქონდეს საერთაშორისო ექსპერტიზა.

9. მიუთითეთ რამდენი დოქტორანტის მიღებაა შესაძლებელი

გეოგრაფიის დეპარტამენტს, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე შეუძლია მიიღოს 5 დოქტორანტი.

პროგრამაში ჩართული პროფესორების ჩამონათვალი:

1. სრული პროფესორი ოთარ ჩხეიძე
2. ასოც. პროფესორი დალი მიქაუტაძე
3. ასოც. პროფესორი ციცილო დავითულიანი
4. ასოც. პროფესორი აბელ მახარაძე
5. ასოც. პროფესორი ია იაშვილი

10. პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

პროგრამის დაფინანსება მოხდება ინდივიდუალურად ან უნივერსიტეტის მიერ.

სადოქტორო პროგრამის სტრუქტურა

N	კურსი	ს.კ	საათების რაოდენობა ლექ./პრაქტ./ სემ/ ლაბ/	კრედიტ. რაოდენ.	კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით						წინაპირობა
					I	II	III	IV	V	VI	
სასწავლო კომპონენტები (60 კრედიტი)											
საუნივერსიტეტო სავალდებულო კურსები (10 კრედიტი)											
1.	სწავლების თანამედროვე მეთოდ. და ტექნოლოგიები	2	15/0/15/0	5	5						
2.	პედაგოგიური პრაქტიკა	2	0/30/0/0	5		5					
სპეციალობის სავალდებულო კურსები (50 კრედიტი)											
3.	დარგის კვლევის თანამედროვე მეთოდები	2	15/0/15/0	5	5						
4.	სპეციალური სემინარები	2	0/0/30/0	15	5	10					
5.	რეგიონალური გეომორფოლოგია	2	15/0/15/0	5	5						
6.	საქართველოს რეგიონები I	2	15/0/15/0	5	5						
7.	საქართველოს რეგიონები II	2	20/0/10/0	5		5					
8.	საქ.კლიმატური რესურსები და კლიმატ თან. პრობლემ I	2	15/0/15/0	5	5						
9.	საქ.კლიმატური რესურსები და კლიმატ თან. პრობლემ II	2	10/0/20/0	5		5					
10.	საქართველოს ეკონომიკ. გეოგრაფიის პრობლემები	2	15/0/15/0	5		5					
სულ:				60	30	30					
კვლევითი კომპონენტები (120 კრედიტი)											
1.	კოლოქიუმი	4	-	20			5	5	10		
2.	სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნება	4	-	40			15	15	10		
3.	საველე კვლევითი მუშაობა	4	-	5			5				
4.	სადოქტორო ნაშრომის შესრულება	4	-	55			5	10	10	30	
სულ:				120	30	30	30	30	30	30	
პროგრამის კომპონენტები											
სასწავლო კომპონენტები				60							
საუნივერსიტეტო კურსები		სავალდებულო		10							
სპეციალობის კურსები		სავალდებულო		50							
კვლევითი კომპონენტები				120							
სულ:				180	30	30	30	30	30	30	

დოქტორანტის ცოდნის შეფასების სისტემა:

დოქტორანტის მიღწევების შეფასება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 და 2009 წლის 21 სექტემბრის №785 ბრძანებებით განსაზღვრული შემდეგი პუნქტების გათვალისწინებით:

1. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ დოქტორანტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

2. დაუშვებელია დოქტორანტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად, მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. დოქტორანტის გაწეული შრომის შეფასება გარკვეული შეფარდებით უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას;

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

4. დასკვნითი გამოცდა არ უნდა შეფასდეს 40 ქულაზე მეტით.

5. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა დოქტორანტს, რომელსაც შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

6. შეფასების სისტემით დასაშვებია:

ა) ხუთი სახის დადებითი შეფასება:

ა.ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა. ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფითი შეფასება:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ დოქტორანტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

7. მე-6 პუნქტით გათავისწინებული შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.

8. დოქტორანტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა.

სასწავლო კურსში დოქტორანტის მიღწევების შეფასების დამატებითი კრიტერიუმები განისაზღვრება შესაბამისი სილაბუსით.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:

სადისერტაციო ნაშრომის საბოლოო შეფასება ხდება შემდეგი სისტემით:

ა) ფრიადი (summa cum laude) - შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

- გ) კარგი (cum laude) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;
- დ) საშუალო (bene) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;
- ე) დამაკმაყოფილებელი (rite) - შედეგი, რომელიც ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;
- ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;
- ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) - შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

სადისერტაციო ნაშრომის შეფასების მეთოდოლოგია

- ა) კომისიის თითოეული წევრი სადისერტაციო ნაშრომს აფასებს ზემოთმოყვანილი სისტემით;
- ბ) სადისერტაციო კომისიის წევრთა შეფასებებს შეესაბამებათ რიცხვები 1-დან 7-მდე, შესაბამისობის შემდეგი სქემით: 1-"სრულიად არადამაკმაყოფილებელი", 2-"არადამაკმაყოფილებელი", 3 -"დამაკმაყოფილებელი" , 4 - " საშუალო", 5 - "კარგი" , 6 - "ძალიან კარგი" , 7 - "ფრიადი" ;
- გ) გამოითვლება აღნიშნული რიცხვების საშუალო არითმეტიკული \bar{E} ;
- დ) E განისაზღვრება, როგორც \bar{E} -თან უახლოესი ნატურალური რიცხვი (თუ \bar{E} არის $n,5$ სახის, მაშინ E განისაზღვრება $n + 1$ -ის ტოლად);
- ე) საბოლოო შეფასება არის E რიცხვის შესაბამისი შეფასება ბ) პუნქტში მოცემული სქემის მიხედვით, თუ კომისიის წევრთა არანაკლებ $2/3$ -ისა ნაშრომს შეაფასებს დადებითად (ე.ი. არ შეაფასებს "სრულიად არადამაკმაყოფილებელი" - ით ან "არადამაკმაყოფილებელი" - ით);
- ვ) საბოლოო შეფასება არის „არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ - ზე მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E \geq 2$;
- ზ) საბოლოო შეფასება არის „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“, თუ კომისიის წევრთა $1/3$ მეტი ნაშრომს შეაფასებს უარყოფითად და $E = 1$